

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

გია ებრალიძე

სახელმწიფო პოლიტიკისა და საჯარო სამსახურის
ურთიერთმიმართების საკითხების ანალიზი საქართველოს
საზოგადოებრივ-პოლიტიკური სივრცისათვის

დოქტორის აკადემიური ხარისხის

მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის

ავტორ ე ფ ე რ ა ტ ი

სადოქტორო პროგრამა – საჯარო მმართველობა

შიფრი – 1109

თბილისი

2018 წელი

სამუშაო შესრულებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის

საჯარო მმართველობისა და ელექტრონული ბიზნესის დეპარტამენტში

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი გენადი იაშვილი

რეცენზენტები:

დაცვა შედგება 2018 წლის ----- ივლისს, ----- საათზე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების
ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს კოლეგიის სხდომაზე, კორპუსი -----,
აუდიტორია -----

მისამართი: 0175, თბილისი, კოსტავას 77.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება სტუ-ს ბიბლიოთეკაში,

ხოლო ავტორეფერატისა - სტუ-ს ვებგვერდზე.

სადისერტაციო საბჭოს მდივანი:

ასოცირებული პროფესორი,

ლია ბერიკაშვილი

Abstract:

Thesis on „**Analysis of Issues of Interaction Between Public Policy and Public Institutions in the Political Environment of Georgia**” consists of an introduction and three chapters.

The introduction discusses the importance of the topic, which is reflected in the XXI century with the development of their critical and difficult period entered. Economic modernization and restructuring of its development of new social challenges, such as the role of human capital growth, eradication of poverty, demographic and environmental risks and prevention of offset. Today, the socio-political and socio-economic processes largely determine the future look of the XXI century, the strategic perspective. Thus, the aforementioned problems of the Georgian People from all walks of consolidation and growth of a person's socialization. In addition to solving the problems raised by civil society, the citizens and their associations in the public role in political activities.

Civil society is the main feature - the self- organization of citizens and municipal, regional and state institutions in their role, - a poorly executed. Civil society's potential as a creative force in the opening and development of the human instrument, in Georgia there is no such requirement, as overseas. Meanwhile is known, that institutions of civil society takes an important place in such urgent social problems, such as disabled persons, pensioners and disabled social orientation, municipal formations of vitality, improvement and strengthening of the family institution, social-risk people to work. In addition, civil society institutions are the major participants in the processes of the charity; what interact with the state, society and the social responsibility of business structures, these institutions contribute to solving the problems of social stimulation; More and more young people are actively involved in the socio-cultural, political and patriotic upbringing. They can and should take part in the formation of the average kalsis and promote a favorable environment for innovation, and improve the quality of human capital and other role.

In the introduction to the study determined the object, the subject, purpose and objectives of the thesis discusses the methodological basis; Viewed his scientific innovations; The theory and practical importance; Formulated to be taken at a public defense of the basic definitions and tezebi.

The volume of work and structure. The dissertation research is done on page 170. Dissertation Research logic and semantic emphasis on the basic idea of the paper is, therefore, the conclusion of the study brought architectonic. It consists of an introduction, three chapters, conclusions and list of references it.

The first chapter, *“Theoretical and Methodological Issues of State Cooperation with Civil Society”*, represents a methodological framework that allows government agencies and civil society interaction analysis. In addition, work on the first section identifies the tools and methodology of the study, discusses the state and civil institutions and their co-evolution problems of theoretical issues. Structurally this chapter consists of three paragraphs, in which the state is considered a civilian public relations theories and their evolution; In the modern world the state and civil society and the transformation of their relationship to the modification; non-profit organizations, civil society associations istitutsiuri issues.

The second chapter, *“Formation of Civil Society in Georgia and the Shape of its Interaction With the State”*, considers the civil society to emerge and develop in Georgia, a non-profit non-state sector of the foreign experience in retrospect, the state and private sector relations Georgian experience and komparativisturi approach based on an analysis of civil society and socio-cultural and historical factors.

The third chapter, "***The Growth of Social Motivation in the Activities of Non-profit Organizations and the Partnership Principle in Their Interaction With the State***", covers the main areas of social partnership, mechanisms, infrastructure and typology; It showed that the principle of social partnership is made up of the various conceptual ideas for the school compound, which was studied by the human, the state and the harmonization of the various institutions. In addition, the third chapter of the non-profit non-governmental organizations and the politicization of their structural modifications; non-profit organizations in the state of the interaction dynamics; Social interaction partner technologies and infrastructure issues. This chapter includes the methods of improving of the roads of partnership.

The report summarizes the results of the research and formulated the state and civil society institutions to interact with society at different stages of development.

ნაშრომის ზოგადი დახასიათება:

საკვლევი თემის აქტუალობა: XXI საუკუნეში საქართველომ განვითარების მეტად მნიშვნელოვანსა და რთულ პერიოდში შეაბიჯა. ეკონომიკის მოდერნიზაციამ და რესტრუქტურიზაციამ მისი განვითარება ახალი სოციალური გამოწვევების დასაძლევად მიმართა, ესენია: ადამიანური კაპიტალის როლის ზრდა, სიღარიბის აღმოფხვრა, დემოგრაფიული და ეკოლოგიური რისკების პრევენცია. დღეს განვითარებული სოციალურ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პროცესები დიდწილად განაპირობებს საქართველოს მომავალ იერსახეს XXI საუკუნის სტრატეგიულ პერსპექტივაში. ამდენად, დასახელებული პრობლემების მოგვარება გულისხმობს ქართული საზოგადოების კონსოლიდირებასა და პიროვნების სოციალიზაციის ზრდას. გარდა ამისა, ამოცანების გადაჭრისას უნდა ამაღლდეს სამოქალაქო საზოგადოების როლი საჯარო პოლიტიკურ საქმიანობაში.

სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების პროცესში სახელისუფლებო ორგანოებისა და სხვა მოქმედი სუბიექტების ურთიერთქმედების თეორიის სამეცნიერო კვლევა აქტუალურია სახელმწიფოს პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ყველა ეტაპზე და განსაკუთრებით სოციალური სფეროს განვითარებასთან მიმართებაში, რომელშიც დღეს მნიშვნელოვნადაა გაზრდილი საჯარო და სამოქალაქო ინსტიტუტების როლი.

კვლევის მიზნები და ამოცანები

კვლევის მიზანი იყო კომპლექსური თეორიული და ემპირიული ანალიზისა და სექტორთაშორისი ურთიერთობების ქართული და უცხოური გამოცდილების განზოგადების საფუძველზე კონცეპტუალური მიდგომებისა და პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება სახელმწიფო პოლიტიკისა და საჯარო სამსახურების ურთიერთქმედების შედეგიანობის შემდგომი ზრდისა და მისი როლის ამაღლებისათვის სოციალურ-პოლიტიკური პრობლემების გადაჭრის საქმეში.

დასახული მიზნის მისაღწევად საჭირო გახდა შემდეგი ამოცანების გადაჭრა:

1. მოგვეხდინა კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური ბაზის ჩამოყალიბება;
2. პოლიტიკური აზრის ისტორიაში შეგვესწავლა და ჩამოგვეყალიბებინა სახელისუფლებო სტრუქტურებისა და სამოქალაქო საზოგადოების ურთიერთობათა ევოლუცია;
3. გამოგვევლინა და შეგვესწავლა სახელმწიფო ინსტიტუტისა და სამოქალაქო საზოგადოების ფუნქციონირების სპეციფიკური ნიშნები თანამედროვე პერიოდში, გლობალიზაციის პირობებში;
4. განგვეხილა სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების სტრუქტურა, გამოგვევლინა არაკომერციული ორგანიზაციების როლი, ფუნქციები და მნიშვნელობა ქართული საზოგადოების თანამედროვე ცხოვრებაში;
5. განგვეზოგადებინა არასახელმწიფო არაკომერციული ორგანიზაციების ძირითადი ფორმები და მათი როლი საჯარო პოლიტიკაში;
6. გაგვეანალიზებინა სექტორთაშორისი ურთიერთობები და შეგვეფასებინა მათი ფორმების შედეგიანობა;
7. გამოგვეკვლია სოციალური პარტნიორობის პრინციპები, ფორმები, შედეგიანობა და ხასიათი, რომელიც რეალიზდება სექტორთაშორისი ურთიერთქმედების პროცესში;
8. ჩაგვეტარებინა სექტორთაშორისი სოციალური პარტნიორული ურთიერთქმედების ინფრასტრუქტურის ანალიზი, განგვესაზღვრა მისი განვითარების გრძელვადიანი პარამეტრები;
9. განგვეზოგადებინა სახელისუფლებო ორგანოთა არასახელმწიფო არაკომერციული ორგანიზაციებთან და ბიზნესთან ურთიერთქმედების უცხოური და ისტორიული გამოცდილება;
10. შეგვეფასებინა სექტორთაშორისი სარესურსო ურთიერთქმედების პრობლემები და ფორმები ეკონომიკური კრიზისის პირობებში.

კვლევის საგანი და ობიექტი . კვლევის ობიექტია საჯარო ორგანოებისა და სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების ურთიერთქმედება სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების პროცესში. კვლევის საგანია

სახელისუფლებო ორგანოებისა და სამოქალაქო საზოგადოების სექტორთაშორის ურთიერთქმედება თანამედროვე საქართველოში.

კვლევის მეთოდოლოგია: სადისერტაციო კვლევა შესრულებულია თეორიული და მეთოდოლოგიური გამოკვლევებისა და პუბლიკაციების ფართო ბაზაზე დაყრდნობით. შეიძლება დასახელებულ იქნას არაერთი ავტორი, მაგრამ გამოვყოფდით ნ. მაკიაველის, თ.გობსს, თ. მონტესკიესა და ჟ.ჟ. რუსოს. პრობლემის გააზრებასა და ანალიზში უდიდესი წვლილი მიუძღვის გ.ჰეგელს, გარდა ამისა, პრობლემატიკის კვლევაში მნიშვნელოვანი წვლილი აქვთ შეტანილი ჯ. ლოკს, ა.სმითს, ჯ.მილს, თ.ჯეფერსონს, ა.გრამშის და სხვ. სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების ურთიერთობის შესწავლა თანამედროვე ეტაპზე განაგრძეს ე.არტომ, ჰ.არენდტმა, ლ. კონმა, ე.გიდენსმა, ა.ტიურენმა, ი.აბრაჰამსმა, დ.გრინმა.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე

1) დასაბუთებულია დებულება იმის შესახებ, რომ სიღარიბის მაღალი დონე და საზოგადოების სოციალურ ფენებად დაყოფა, დემოგრაფიული, მიგრაციული და ეკოლოგიური პრობლემების სიმწვავე და სხვა სოციალური რისკები იწვევს სოციალურ ურთიერთობათა და ინტერესთა პოლარიზაციას და მათი საჯარო პოლიტიკის სფეროში გადატანას. გარდა ამისა, დამტკიცებულია მოსაზრება იმის თაობაზე, რომ არაკომერციული ორგანიზაციები ასრულებს მნიშვნელოვან სამოხილიზაციო ფუნქციას, რაც საშუალებას იძლევა: ადამიანური კაპიტალის რესურსების აქტივიზაციისათვის; მოხალისეთა შრომის მოსაზიდად უმნიშვნელოვანესი სოციალური პრობლემების გადაჭრის პროცესში; დამატებითი საბიუჯეტო სახსრების მოსაზიდად მრავალარხიანი დაფინანსების სისტემის მეშვეობით, სექტორთაშორის ურთიერთობებში სოციალურად მნიშვნელოვანი პარტნიორის როლის შესრულებისთვის, ყველაზე მნიშვნელოვანი სოციალური პრობლემების გამოვლენისა და მათი გადაწყვეტის ინიცირებისათვის.

2) დასაბუთებულია დებულება იმის შესახებ, რომ თანამედროვე პირობებში

სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტებს შორის განვითარებული ურთიერთობები ორიენტირებულია ისეთი ტიპის სოციალურ სტრატეგიებზე, რომელთა რეალიზება ხდება სოციალური პარტნიორობის საფუძველზე. დამტკიცებულია მოსაზრება, რომ სოციალური პარტნიორობა წარმოადგენს სექტორთაშორისი ურთიერთობების უმთავრეს პრინციპს. გარდა ამისა, დასაბუთებულია სოციალური პარტნიორობის, როგორც არსებულ უთანხმოებათა აღმოფხვრისა და კომპრომისების მიღწევის ინსტრუმენტის არსი;

3) დასაბუთებულია მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მესამე სექტორის ორგანიზაციათა საქმიანობაში სხვადასხვა ხარისხითაა შეზავებული: სოციალური დაცვის სისტემა და სტიმულირება, რომელიც აიძულებს ინდივიდს სოციალური აქტიურობისაკენ; კორპორატიული და პირადი პასუხისმგებლობა საკუთარი და კორპორაციული პრობლემების გადაწყვეტისას; გარდა ამისა, ჩვენს მიერ შემუშავებულია კონცეფცია აღმასრულებელი ხელისუფლებისა და არაკომერციული ორგანიზაციების ურთიერთობის შესახებ, რომელიც საშუალებს იძლევა სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრივი სექტორისა და ბიზნესის ძალისხმევის კონსოლიდაციისათვის;

4) დამტკიცებულია მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტები, ავითარებენ რა სოლიდარობისა და ურთიერთდახმარების ურთიერთობებს, ასუსტებენ ეკონომიკური კრიზისის უარყოფით შედეგებს; გარდა ამისა, დასაბუთებულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ კრიზისის პრობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა არასახელმწიფო არაკომერციული ორგანიზაციების საქმიანობამ, რომელთა აქტივობის სფეროს მოსახლეობის (მ.შ. უმუშევრების) გადამზადება, იურიდიული კონსულტაციები და მოსახლეობის სამართლებრივი კულტურის ამაღლება წარმოადგენს;

5) კვლევა ამტკიცებს, რომ საქართველო წარმოადგენს სოციალურ სახელმწიფოს, რომელიც აძლიერებს არაკომერციულ არასახელმწიფო ორგანიზაციებს და ხელს უწყობს მათ ინსტიტუციალიზაციას, რაც

გულისხმობს არასახელმწიფო არაკომერციული ორგანიზაციების სახელმწიფოს საჯარო პოლიტიკაში ჩართვას და თვით სახელმწიფოს ავტორიტეტის გამყარებას.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა

კვლევის მასალა საშუალებას გვაძლევს საჯარო და საზოგადოებრივი ინსტიტუტების სოციალური ურთიერთქმედების სტრუქტურირებისათვის, ხოლო დასკვნები და შეფასებები კი ფართოდ იქნება გამოყენებული ისეთი ორგანიზაციების მიერ, რომლებიც ახორციელებს ასეთ ურთიერთქმედებას. ეს ეხება, კერძოდ: საჯარო და საზოგადოებრივი ინსტიტუტების სოციალური ურთიერთქმედების ფორმებსა და მეთოდებს; ურთიერთქმედებაში ჩართული არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელურ სტრუქტურას და მოქალაქეების აქტივობის ამაღლებას სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების პროცესში; სოციალური პროექტების კონკურსებისა და საგრანტო პროექტების შედეგიანობის ამაღლებას; ბიზნესის საინვესტიციო აქტივობის ამაღლებასა და სახელმწიფო და ადგილობრივ პროექტებში მის მონაწილეობას; სოციალური პარტნიორობის პრინციპებისა და ფორმების დახვეწას.

გარდა ამისა, კომპლექსური სოციალურ-პოლიტიკური კვლევის ავტორის მიერ შემუშავებული მეთოდები გამოსადეგია ასეთივე ტიპის სექტორთაშორისი კვლევებისათვის და უმაღლეს სასწავლებლებში პრაქტიკული კურსების წაკითხვისას.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა: მოცემული დისერტაცია მოიცავს კომპიუტერზე აკრეფილ 170 გვერდს. მისი ტექსტი შედგება: შესავალის, ლიტერატურის მიმოხილვის, სამი თავის, დასკვნებისა და გამოყენებული ლიტერატურის ნუსხისგან.

ნაშრომის შინაარსი შემდეგია:

შესავალი

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

თავი 1. სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების ურთიერთქმედების თეორიული და მეთოდოლოგიური ბაზა

1.1. სოციალური სახელმწიფოს მოდელები, როგორც სახელმწიფო სტრუქტურების და სამოქალაქო საზოგადოების ურთიერთქმედების სპეციფიკის განმსაზღვრელი ფაქტორი

1.2. სახელმწიფო ინსტიტუტის, სამოქალაქო საზოგადოების და მათი ურთიერთქმედების ფუნქციების ტრანსფორმაცია გლობალიზაციის პირობებში

1.3. არასახელმწიფო არაკომერციული ორგანიზაციები, როგორც სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტები

თავი 2. სამოქალაქო საზოგადოება და საჯარო სტრუქტურებთან მისი ურთიერთქმედება საქართველოს პოლიტიკური სივრცეში

2.1. სექტორთაშორისი ურთიერთქმედების ჩამოყალიბების ძირითადი პრინციპები და გამოცდილება

2.1.1. სოციალური სფეროს განვითარების სახელმწიფო მართვა

2.2. არაკომერციული სექტორის საქმიანობის საერთაშორისო პრაქტიკა და ქართულ პოლიტიკურ სივრცეში მისი იმპლემენტაციის შესაძლებლობა

თავი 3. არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის სოციალური მიმართულებისა და მისი პოლიტიზაციის ანალიზი

3.1. არასამთავრობო ორგანიზაციის სოციალური საქმიანობის სტრუქტურული ძვრები და ფორმები. სოციალური ორიენტირების პოლიტიზაცია

3.2. აო-ს და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების სექტორშორისი ურთიერთქმედების დინამიკა

3.2.1. მესამე სექტორთან ერთობლივი ფუნქციონირების ქართული გამოცდილება

3.2. საქართველოში სახელმწიფო სტრუქტურებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ურთიერთქმედების შემდგომი სრულყოფა

ძირითადი დასკვნები

გამოყენებული ლიტერატურა

დანართი

ნაშრომის ძირითადი შინაარსი

ნაშრომის პირველ თავში - „სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების ურთიერთქმედების თეორიული და მეთოდოლოგიური ბაზა“ განხილულია სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ევოლუცია და მათი ურთიერთქმედება. ამ პროცესმა შეიძინა თავისებურებები, რომლებიც დამოკიდებულია სოციოკულტურულ ფაქტორებზე. თითოეულ ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოება, მისი მდგომარეობა და როლი განსაზღვრულია ისტორიული თავისებურებებით და ტრადიციებით, მოსახლეობის პოლიტიკური კულტურის დონით. სამოქალაქო საზოგადოების ტიპი, მისი განვითარების დონე დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად დემოკრატიულია ქვეყანა ან რამდენად ძლიერია მასში ავტორიტარული ტრადიციები. სამოქალაქო საზოგადოება მთლიანი სოციუმის განუყოფელი ნაწილია, ამიტომ იგი ფუნქციონირებს და ვითარდება როგორც მისი მდგენელი კომპონენტა. შესაბამისად, „სამოქალაქო საზოგადოების“ კატეგორია შეიძლება განისაზღვროს და გაიხსნას მხოლოდ „კერძო“ და „სამოქალაქო“ ურთიერთდამოკიდებულების კოორდინატთა უფრო ზოგადი სისტემის ფარგლებში და იქნეს თავის აზრს მხოლოდ კატეგორიასთან „სახელმწიფო“ კორელაციაში. სამოქალაქო საზოგადოებისა და სახელმწიფო ინსტიტუტების ურთიერთდამოკიდებულების სხვადასხვა მოდელების თავისებურებების აღქმისათვის, აუცილებელია ცნებების ისეთი არსებითი მახასიათებლების გამოვლენა, როგორებიცაა „სამართლებრივი სახელმწიფო“, „სოციალური სახელმწიფო“ და „დემოკრატიული სახელმწიფო“.

თანამედროვე ევროპული სახელმწიფოების უმრავლესობა თავისი სახელმწიფოებრივი წყობით სამართლებრივ სახელმწიფოთა ტიპს მიეკუთვნება. განვითარებული კანონმდებლობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს სამართლებრივი სახელმწიფოებრიობის არსებობას. ისტორიული გამოცდილება ადასტურებს, რომ ტოტალიტარულ სახელმწიფოებში რეგულარულად გამოიცემოდა სამართლებრივი აქტები, უზრუნველყოფილი იყო მათი განხორციელება, მაგრამ ამგვარი

სამართლებრივი რეგულირება წარმოადგენდა სამართლებრივი სახელმწიფოს ანტიპოდს. სამართლებრივი სახელმწიფოს შესაქმნელად საჭიროა განსაზღვრული საფუძველი და პრინციპები.

სამოქალაქო საზოგადოების თეორიული კონსტრუქციის თანახმად, „ხელისუფლების უზენაესობა გადადის სოციალური პირამიდის საფუძველში“. სამოქალაქო საზოგადოების თითოეული წევრი ხდება უფლებებისა და თავისუფლების სუბიექტი, და არა ადმინისტრირებისა და მეურვეობის ობიექტი.

სამართლებრივი სახელმწიფო საკუთარ მოქალაქეებს აძლევს ქცევის ავტონომიურობის, საკუთარი ინტერესის, კეთილდღეობის და მიზნის განსაზღვრის დამოუკიდებლობის გარანტიას. იცვლება ხელისუფლების კონცეფცია, მისი სოციალურ-ფსიქოლოგიური ფონი: არა პატერნალისტური ზრუნვა ქვეშევდომრების კეთილდღეობაზე, არამედ მართვა, რომელიც უზრუნველყოფს მათ დამოუკიდებლობას, ხდება სამართლებრივი სახელმწიფოს არსი.

სამოქალაქო საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპი დაკავშირებულია სერიოზულ ცვლილებებთან, რომელიც გლობალიზაციის პროცესების ზეგავლენით სოციუმის ყველა სფეროში ხდება. დაწყებული XX საუკუნის 80-ან წლებიდან, გლობალიზაციის თემა და მისი სხვადასხვა გამოვლენა გახდა აქტიური კვლევების და მსოფლიო თანამეგობრობის განხილვის საგანი.

ერთ-ერთი ყველაზე აქტიურად განსახილველ პრობლემას წარმოადგენს სახელმწიფოს ფუნქციების ცვლილებები და მისი უფლებამოსილების შემცირება, რომელმაც დაკარგა საკუთარი ტრადიციული ფუნქციების მნიშვნელოვანი ნაწილი. ეს ნაწილი „ხელთ იგდეს“ ტრანსნაციონალურმა და საერთაშორისო სტრუქტურებმა, გარდა ამისა, სახელმწიფომ საკუთარი ძალაუფლების გარკვეული წილი ადგილობრივ ხელისუფლებას და სამოქალაქო საზოგადოებასაც გადასცა.

ხალხის ნებაყოფლობითი გაერთიანების ტრადიციების არარსებობის შემთხვევაში, პოსტკომუნისტური ქვეყნების (და მათ შორის, საქართველოს)

საზოგადოებებში რჩება მხოლოდ ეროვნული და საოჯახო ნიშნის მიხედვით შექმნილი გაერთიანებები.

ახალი აქტორების გამოჩენის ერთ-ერთ მიზეზს გლობალიზაციაზე ორიენტირებული ეკონომიკის ჩამოყალიბებაა. ეკონომიკის ინტერნაციონალიზაციამ მიაღწია ისეთ დონეს, რომ ეროვნული პოლიტიკის კლასიკურმა ინსტრუმენტებმა, რომლებიც მოწოდებულია, მოახდინოს ეკონომიკური ზრდის აქტივიზირება, მნიშვნელოვნად დაკარგეს ქმედითუნარიანობა. ფინანსური ცენტრალიზაცია სახელმწიფოებს დამოკიდებულს ხდის მსოფლიო ფინანსურ ბაზრებზე, რომელთა ინტერესები წინააღმდეგობაშია ეროვნულ ინტერესებთან.

ეკონომიკურ სფეროში ფუნქციონირებს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ფართო ქსელი, რომელიც შექმნილია არასახელმწიფო საწარმოებით (სამეწარმო, სავაჭრო, ფინანსური და ა.შ.), მათ შესახებ შეიძლება ვთქვათ, რომ ჯერ ერთი, თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოებში ისინი შეადგენს აბსოლუტურ უმრავლესობას; მეორე, არიან რა არასახელმწიფო ფორმის, ისინი წარმოიქმნებიან და ფუნქციონირებენ საბაზრო ეკონომიკის პირობებში აქედან გამომდინარე ყველა შედეგით: ეკონომიკური რისკები, გაკოტრების ალბათობა, მძაფრი კონკურენტული ბრძოლა და მრავალი სხვა. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების კონკრეტული მიზნები ეკონომიკურ სფეროში შეიძლება შეიცვალოს, მაგრამ მათი აქტიურობის სტრატეგიული მიმართულებები უცვლელი რჩება.

სამოქალაქო საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური სფეროს გაერთიანების ორგანიზაციები იქმნება და მოქმედებს, როგორც სამოქალაქო საზოგადოების ყველა სუბიექტი, საზოგადოებრივი ინიციატივის საფუძველზე. ისინი ცდილობენ, საკუთარი სოციალური ინტერესების რეალიზება მოახდინონ ამ ორგანიზაციების მეშვეობით. მეწარმეების კავშირები ძირითადად ასახავს მესაკუთრეების კოლექტიურ ინტერესებს, რომლებიც დაკავშირებულია დაქირავებული შრომის გამოყენებასთან.

მესამე სექტორის სტრუქტურის განხილვისას, შეიძლება გამოვყოთ

ორი ქვეკლასი: 1) ურთიერთდახმარების არასამთავრობო საზოგადოება, რომელიც აერთიანებს ადამიანებს საერთო პრობლემის პრინციპით; 2) ადამიანთა გაერთიანება დემოგრაფიული ან გენდერული ნიშნით; გარდა ამისა, კლუბის ტიპის აო, რომელიც მოიცავს თვითსრულყოფის სხვადასხვა ჯგუფებს, კლუბებს ინტერესთა მიხედვით და ა.შ.

ორგანიზაციებს, რომლებიც მიმართულია განსაზღვრული პრობლემების გადაწყვეტაზე და უშუალოდ არ არიან კავშირში მათი წევრების პრობლემებთან, მიაკუთვნებენ მეორე კლასს და აქაც გამოყოფენ ორ ქვეკლასს: 1) სოციალური მიმართულების აო, ან საქველმოქმედო ორგანიზაციები, ამასთანავე მათი ნაწილი მიმართულია მოსახლეობის განსაზღვრული კატეგორიების პრობლემების კომპლექსის გადაწყვეტაზე; 2) ეკოლოგიური მიმართულების აო (ბუნების დაცვა, კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და ა.შ.).

მესამე კლასს მიაკუთვნებენ უფლებადამცავ ორგანიზაციებს, როგორც ტრადიციული ტიპის, ასევე ამ ბოლო დროს წარმოქმნილი სამოქალაქო კონტროლის ჯგუფებს, რომლებიც მოიცავს აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლსაც. აო-ს მეოთხე კლასი შედგება ორგანიზაციებისგან, რომელთა მისია არის სხვა არაკომერციული ორგანიზაციების საქმიანობის ხელშეწყობა.

ნაშრომის მეორე თავში - "სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება საქართველოში და საჯარო სტრუქტურებთან მისი ურთიერთქმედება" აღნიშნულია, რომ სოციალური პრობლემატიკის მაღალმა აქტუალობამ და სოციალური სფეროს ეკონომიკური და პოლიტიკური როლის დინამიურმა ზრდამ სახელისუფლებო სტრუქტურებისთვის და ხელმძღვანელი ელიტისთვის საკმაოდ აქტუალური გახადა სახელმწიფო მხარდაჭერის და სოციალური სფეროს სახელმწიფო ხელმძღვანელობის შედეგიანი საორგანიზაციო-ეკონომიკური ფორმების მოძიება ქველმოქმედებასთან და საზოგადო სოციალური მომსახურებასთან ერთად.

მნიშვნელოვანი მოვლენებით სავსე ისტორიულ ფონზე ხდებოდა სოციალური ურთიერთობების, სახელმწიფოს, საზოგადოებისა და

მეწარმეობის ურთიერთქმედების პრინციპებისა და ფორმების ჩამოყალიბება. ფეოდალური საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობილების თავისებურებანი იყო: საკუთრების დანაწილება; წოდებრივი მონარქიის არქონა; აბსოლუტურ მონარქიის არქონა; გვიანფეოდალური საქართველოს ცალკეულ სამეფოებში პოლიტიკური სუვერენიტეტი არ დაქუცმაცებულა, თუმცა მეფის ხელისუფლება რეალურად სუსტი იყო; სახელმწიფოებრივი წყობილებისა და სამართლის ინსტიტუტმა საქართველოში ბოლომდე შეინარჩუნა თვითმყოფადობა.

აღმოცენდა რა წარმოებისა და საზოგადოების პოლიტიკური სტრუქტურიდან, წარმოებით ურთიერთობათა ფეოდალური ტიპის ქართული ვარიანტი სახელმწიფოსა და პიროვნებას შორის ბატონყმური ურთიერთობის შედარებით პროგრესულ, განვითარებისუნარიან ფორმას წარმოადგენდა.

არსებობს მოსაზრება, რომ მონღოლთა და სხვა დამპყრობელთა შემოსევებს რომ არ შეეშალათ ხელი, საქართველოში სოციალურ-ეკონომიკური განვითარება შეიძლებოდა ბურჟუაზიული წარმოებითი ურთიერთობების ჩასახვა-განვითარების გზით განვითარებულიყო.

დღეის პოზიციიდან საინტერესოა წარსული დროის საქველმოქმედო ორგანიზაციების სტრუქტურის განხილვა. მაგალითად, XVIII – XX საუკუნეების პერიოდში ფუნქციონირებდნენ: საქველმოქმედო საზოგადოებები, ბავშვებთან მომუშავე ორგანიზაციები, ქალთა გაერთიანებები, სამეცნიერო საზოგადოებები, საგანმანათლებლო საქმიანობით დაკავებული ორგანიზაციები, ურთიერთდახმარების საზოგადოებები, საზოგადოებები პროფესიების მიხედვით. ფაქტიურად, წარმოდგენილი იყო ორგანიზაციების ფართო კომპლექსი, მათგან მრავალი დღესაც ფუნქციონირებენ.

კარგად არის ცნობილი მრავალი ქართველი მეწარმის სახელი, რომლებიც გახდნენ მნიშვნელოვანი სპონსორები, ცნობილი მეცენატები და შეიტანეს უდიდესი წილი ქვეყნის კულტურულ პოტენციალში, კერძოდ სახსრების შეტანით ტაძრების აგებაში, თეატრალური საზოგადოებების

მშენებლობაში, მუზეუმებისა და „სახალხო სახლების“, პირველი ქირურგიული საზოგადოებისა და სხვა სამედიცინო დაწესებულებების, უნივერსიტეტის შექმნაში და მრავალი სხვა. მათ შორის დავით სარაჯიშვილი, ძმები ნიკოლაძეები, ძმები ზუბალაშვილები და სხვანი. საქველმოქმედო ორგანიზაციები თავის საქმიანობაში აერთიანებდნენ საქმიანობის ადმინისტრაციულ-საორგანიზაციო და ადმინისტრაციულ-ფუნქციურ ფორმებს.

საქართველოში სოციალური სამსახურის ისტორიის ძალზე მნიშვნელოვანი ფურცელია – სოციალურ სფეროში საკრებულოების და მუნიციპალიტეტების საქმიანობა. ევროპის, აზიის, ჩრდილოეთ ამერიკის, ლათინური ამერიკის, ახლო აღმოსავლეთის და აფრიკის 35 ქვეყნის ეროვნული სტატისტიკის მონაცემებით, 21 საუკუნის დასაწყისისათვის არაკომერციული სექტორის საქმიანობაში მონაწილეობას იღებდა 39,5 მლნ ადამიანი. ეს წარმოადგენს 4,4% – ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის ყოველი მეოცე ადამიანი. მათგან – 22,7 მლნ ადამიანი (ან 43%) მოხალისეა.

არაკომერციული სექტორის წილი მშპ-ში. საკმაოდ მნიშვნელოვანია არაკომერციული სექტორის წილი რიგი ქვეყნების მთლიან შემოსავლებში (ნიდერლანდები –15,3%; ისრაელი –12,6%; ირლანდია – 8,4%; აშშ–7,5%). პირველ რიგში, აღვნიშნოთ მაჩვენებლების მნიშვნელოვანი დიაპაზონი: უდიდესი ხვედრითი წონა, რომელიც უკავია ნიდერლანდებს (15,3%) 51-ჯერ მეტია რუმინეთის მაჩვენებელზე (–0,3%). დიფერენციაციის მნიშვნელოვანი დონე ნარჩუნდება ქვეყანათა მაჩვენებლებში. ნიდერლანდების მაჩვენებლების მაქსიმუმი აღემატება იაპონიის მაჩვენებლების მაქსიმუმს 5-ჯერ, ხოლო ესპანეთის მინიმალური მაჩვენებლები – რუმინეთის მაჩვენებლებს 13-ჯერ. კორელაციის ამპლიტუდაში თითქმის სამჯერადი განსხვავებაა. დიდი დიფერენცირება აღინიშნება ასევე ამერიკის ქვეყნებშიც. მაგალითად, თუ უფრო განვითარებულ დასავლეთ ევროპაში გადახრა 7%-ია, ხოლო ლათინურ ამერიკაში იგი 2,2%-ს უტოლდება. ამ მონაცემების საფუძველზე

თანამედროვე მეცნიერებაში ჩამოყალიბდა მოსაზრება დემოკრატიული ინსტიტუტების მდგრადობის შესახებ და აო-ს წილზე ეკონომიკაში. ამგვარი კავშირი არსებობს, მაგრამ მხოლოდ როგორც ტენდენცია, რომელიც არ უარყოფს გამონაკლისებს. ამავდროულად, მისი აბსოლუტიზაცია იღებს პოლიტიზირებულ შეფერილობას. მაგალითად, აო-ს ხვედრითი წონა მშპ-ში არგენტინაში 5,1%, ხოლო საფრანგეთში 1,3 ჯერ ნაკლები, 3,8%. ნაკლებად არის თუ არა განვითარებული საფრანგეთში დემოკრატიზაციის დონე, ვიდრე არგენტინაში? მეორე, მაქსიმალური პოზიცია აქვს აო-ს ხვედრითი წონის მიხედვით მშპ-ში ისრაელს. არ ვაყენებთ რა ამ ქვეყანაში დემოკრატიზაციის დონეს ექვეყნებ, ვფიქრობთ, რომ იგი საგრძნობლად უფრო მდგრადია, ვიდრე მაგალითად დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში და ფინეთში. უფრო მკაფიოდ ჩანს ზემოაღნიშნული ზეგავლენა ქვეყნის ეკონომიკური დონის აო-ს განვითარებაზე. ამგვარი დამოკიდებულება აღინიშნება ასევე გაეროს 2015 წლის მოხსენებაში „არაკომერციული სექტორის როლი ეკონომიკურ განვითარებაში“. თუმცა ამ შემთხვევაშიც არსებობს გამონაკლისები. მაგალითად, არგენტინაში აო-ს გაცილებით მნიშვნელოვანი ხვედრითი წონა აქვს მშპ-ში, ვიდრე გერმანიაში. ხოლო უკანასკნელის ეკონომიკური განვითარების დონე მნიშვნელოვნად მაღალია. იგივე მდგომარეობაა ნიდერლანდებისა და აშშ-ს მაჩვენებლებშიც.

ამრიგად, ქვეყნის არაკომერციული სექტორის განვითარებაზე სხვადასხვა დოზით, მაგრამ ზეგავლენას ახდენენ ეკონომიკური და პოლიტიკური ხასიათის ფაქტორები, მოსახლეობის მენტალობა, ისტორიულად შექმნილი პირობები და სხვა.

მესამე თავში - “არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის სოციალური მიმართულება და მისი პოლიტიზაცია” განხილულია პოსტინდუსტრიული, ინფორმაციული ცივილიზაციის კონცეპტუალური მახასიათებელი, ამ ტერმინის ფართო გაგებით, სოციალური სფეროს მზარდ ეკონომიკურ და პოლიტიკურ მნიშვნელობას წარმოადგენს, ცივილიზებული განვითარების სტრატეგიული ორიენტაციის შეცვლის პირობებში, ყალიბდება ხარისხობრივად ახალი მიდგომა ადამიანისეული

კაპიტალის დონეს მიმართ, პირველ რიგში, ადამიანის პროფესიული, სულიერ-ზნეობრივი, მისი ჯანმრთელობის, შრომის პირობების და ცხოვრების დონის მიმართ.

ამგვარი მასშტაბური, სტრატეგიული მიზნის რეალიზება გულისხმობს ინტეგრირებულ, ურთიერთდამოკიდებული სოციალურ-ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური, სოციალურ-ზნეობრივი და სულიერი პრობლემების გადაწყვეტას, საზოგადოების ყველა ინსტიტუტის და სოციალური სტრუქტურების საქმიანობაში სოციალური ორიენტაციის უზრუნველყოფას.

თანამედროვე საქართველოსთვის ამგვარი აქტუალური და გადაუდებელი ამოცანა მოიცავს ორ ურთიერთდამოკიდებულ მიმართულებას:

1. ინერტული განუვითარებლობის და სოციალური სფეროს დეფორმაციის გადალახვა მისი თანმიმდევრული მოდერნიზაციის საფუძველზე;
2. ამ პროცესში სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინსტიტუტების, ქართული საზოგადოების ფართო სპექტრის ჩართვა.

სოციალური სფეროს ეფექტიანი განვითარება ნებისმიერი მნიშვნელოვანი ეკონომიკური და პოლიტიკური გარდაქმნების მთავარი მიზანი და აუცილებელი პირობა გახდა. ამგვარი მასშტაბური და ძალიან რთული ამოცანა არსებითად ახდენს სოციალური ურთიერთობების პოლიტიზირებას, გადაყავს ისინი საჯარო პოლიტიკის განზომილებაში.

ჩვენი აზრით, ეს გულისხმობს:

- სახელმწიფო ძალაუფლების ორგანოების საქმიანობაში მკაფიოდ გამოხატულ რეალურ სოციალურ ორიენტაციას;
- მათ უშუალო პასუხისმგებლობას სოციალური სფეროს შედეგიან და მეცნიერულად დასაბუთებული განვითარებისთვის;
- სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების აქტიურ საქმიანობას, პირველ რიგში, სოციალური პრობლემების გადაწყვეტის სფეროში მოქმედ არასამთავრობო არაკომერციული ორგანიზაციების,

კორპორაციების, ქვეყნის და კონკრეტული რეგიონის საერთო ინტერესებთან შერწყმას, საზოგადოების სოციალური პოტენციალის მობილიზაციას;

- მეწარმეობის სოციალურ პასუხისმგებლობის და საქველმოქმედო მსხვილ სოციალურ პროექტებში მის სისტემატურ მონაწილეობას სახელმწიფოსთან და სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტებთან ერთად;
- სოციალური სფეროს განვითარებისა და სოციალური პრობლემების გადაწყვეტის პროცესში სახელმწიფოს, აო-სა და მეწარმეებს შორის წარმოქმნილ ურთიერთობებში სოციალური პარტნიორობის პრინციპების ფართო და თანმიმდევრულ გამოყენებას.

სოციალური ურთიერთობების მდგრადი ტენდენციები, სტრუქტურული ძვრები სოციალურ სფეროში, მისი გადაუწყვეტელი პრობლემები და მიღწეული შედეგები მკაფიოდ ვლინდება საქართველოს სოციალური სფეროს განვითარების მაგალითზე. შეიძლება ითქვას, რომ კონცენტრირებული სახით იგი მოიცავს ხვალისდელი დღის საქართველოს მოდერნიზაციის პრობლემებს. ამჟამად საქართველო, მისი მოსახლეობა, განიცდის თავისი განვითარების დინამიურ და რთულ ეტაპს. ქვეყნის მთავრობის წინაშე დგას ამოცანა - უზრუნველყოს ეკონომიკური ზრდა აქტუალური სოციალური პრობლემების ერთდროულ გადაწყვეტასთან ერთად. ამავე ამოცანის დასახვის სხვა რაკურსია: გადაწყდეს აქტუალური სოციალური პრობლემები ეკონომიკური ზრდის საფუძველზე.

სექტორშორისი რესურსული ურთიერთქმედება გამოხატავს ინტერესთა კონსოლიდაციის პროცესს და სოციალური ურთიერთობების მნიშვნელოვანი სუბიექტების (სახელმწიფო, სამოქალაქო საზოგადოება, სამეწარმეო სფერო) მოქმედებების ინტეგრაციას და ამ საორგანიზაციო საფუძველზე - სოციალური სფეროს განვითარების სოციალურ-ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური ფაქტორების მობილიზებას, რისი მნიშვნელოვანი შედეგია ურთიერთქმედების ეფექტიანობის ზრდა. მოცემულ შემთხვევაში ხორციელდება ინტეგრაციის ეფექტიანობის

ეკონომიკური კანონი. ამიტომ სექტორშორისი ურთიერთქმედების დროს აუცილებელია რიგი შეცდომების არიდება:

- ააო არ უნდა განიხილებოდეს „უმცროსი პარტნიორის“ როლში, რომელიც შედის ურთიერთობაში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან და მეწარმეებთან დახმარების სათხოვნელად;
- მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ისინი არ ასრულებენ ხელისუფლების ორგანოების აპარატის პასიური დანამატის როლს.

საქართველოს გამოცდილება ადასტურებს, რომ ფართომასშტაბიანი სოციალური პრობლემების წარმატებულად გადაწყვეტა ძალიან რთულია, თუ არ არის შექმნილი მათი შემუშავებისა და რეალიზაციის ურთიერთსასარგებლო სექტორშორისი ურთიერთქმედების ხელსაყრელი პირობები, მესამე სექტორთან შეთანაწყობილი ფუნქციონირების მრავალწლიანი გამოცდილება.

ნაადრევია იმის მტკიცება, რომ საქართველოში სახელმწიფო ორგანოების, არასამთავრობო არაკომერციული ორგანიზაციების და სამეწარმეო ორგანიზაციების სექტორშორისი ურთიერთქმედება უკვე ჩამოყალიბდა როგორც მდგრადი, შედეგიანი, ერთიანი და დინამიურად განვითარებადი სისტემა. ასეთ მოსაზრებას ეწინააღმდეგება საკმაოდ მნიშვნელოვანი მიზეზებისა და მაგალითების მთელი რიგი, მათ შორის:

1. საქართველოს ეკონომიკის განვითარებისა და ზრდის არასაკმარისი დონე;
2. სახელმწიფოსა და მეწარმეების ფინანსური შესაძლებლობების შეზღუდულობა;
3. თვით არასამთავრობო ორგანიზაციების არასაკმარისი აქტიურობა და მათი ერთგვარი მოუმზადებლობა ასეთ ურთიერთქმედებაში მონაწილეობისთვის;
4. სახელმწიფო და რეგიონულ დონეზე სექტორშორისი ურთიერთქმედების საკანონმდებლო ბაზის არასაკმარისი შემუშავება, მათ შორის საგადასახადო კანონმდებლობის;
5. ქართული საზოგადოების ბუნდოვანი წარმოდგენები სექტორშორისი

ურთიერთქმედების რიგ მონაწილეთა შორის ზოგადი სტრატეგიული მიზნებისა და ინტერესების შესახებ;

6. აო-ს საქმიანობის ეკონომიკური ეფექტიანობის გაანგარიშების მეთოდოლოგიის არარსებობა;

7. არასამთავრობო ორგანიზაციების, მათი გაერთიანებების, ასოციაციებისა და სხვა ორგანიზაციული ფორმების შექმნისა და განვითარების ნელი პროცესი;

8. სახელმწიფო მოხელეების, აო-ს ხელმძღვანელებისა და მეწარმეების არასაკმარისი პროფესიული მომზადება.

მიუხედავად ყველა ამ ობიექტური და ხშირად სუბიექტური სიძნეელებისა და წინააღმდეგობისა, სექტორში ურთიერთქმედების პროცესი ვითარდება და სულ უფრო სრულყოფილი ხდება. ამას ადასტურებს ჩვენი კვლევის შედეგებიც.

სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციები მოსახლეობას იმ მომსახურებით უზრუნველყოფენ, რომლის მიწოდებაც სახელმწიფოს ვალდებულებად მოიაზრება. მიუხედავად ამისა, სახელმწიფო დაფინანსების წილი ამ ორგანიზაციების შემოსავლებში დაბალია. კვლევები ცხადყოფენ, რომ სოციალურ სფეროში მოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაციები მნიშვნელოვნად არიან დამოკიდებულნი დონორების დაფინანსებაზე. პროექტის ფარგლებში ჩატარებული სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების საერთო ეროვნული კვლევა უჩვენებს, რომ დონორების დაფინანსების წილი სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების საერთო შემოსავლებში 87.8 პროცენტს შეადგენს.

სექტორში ურთიერთქმედების დინამიკის დაწვრილებითი დახასიათებას იძლევა მასალები ადმინისტრაციული მხარეების მიხედვით, რომელმაც გამოავლინა შემდეგი დომინირებადი მდგრადი ტენდენციები:

1) საქართველოს საზოგადოებრივი სექტორი ვითარდება საკმაოდ წარმატებულად და დინამიურად. ყველა მნიშვნელოვანი პარამეტრის

მიხედვით 2014-2016 წწ. იყო რაოდენობრივი მაჩვენებლების ზრდა, რომლებიც თავის ერთობლიობაში ახასიათებენ აო-ს განვითარების პოზიტიურ ხარისხს;

2) ანალიზის თანახმად, მაღალი ზრდა 2014 წელს შეიმჩნეოდა: ფინანსური სახსრების მოცულობის ჭრილში, რომელიც გამოყოფილ იქნა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის სოციალური დაკვეთის შესასრულებლად (ზრდა 2,3-ჯერ) და საბიუჯეტო ფინანსური სუბვენციების, რომელიც გამოყოფილ იქნა ორგანიზაციების მიერ ინიციატივების მხარდასაჭერად (ზრდა 3,0-ჯერ). და, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, ყველაზე დიდი ზრდა აღინიშნებოდა ფინანსური სახსრების მოცულობის მიხედვით, რომელიც მოზიდულ იქნა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ არასაბიუჯეტო წყაროებიდან ტერიტორიების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამების ფარგლებში. ყველაზე ნაკლები ზრდა იმ ხელშეკრულებების რაოდენობის მაჩვენებლების მიხედვით შეიმჩნევა, რომლებიც დადებულ იქნა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან სამუშაოების (მომსახურების) შესასრულებლად სოციალური დაკვეთის (1,6-ჯერ ზრდა) პირობებზე.

ვფიქრობთ, რომ შესამუშავებელია რეგულაცია, რომლის მიხედვითაც თითოეულმა პირმა საკუთარი შემოსავლების ნაწილი (საშემოსავლო გადასახადი ფიზიკური პირის, ხოლო მოგების გადასახადი - იურიდიული პირის შემთხვევაში) უნდა გადარიცხოს იმ ორგანიზაციის საბანკო ანგარიშზე, რომელსაც შეარჩევს თანხის გადამრიცხველი სუბიექტი. თითოეულ მათგანს ექნება თავისუფალი ნების გამოვლენისა და გადაწყვეტილების მიღების საშუალება, თუ ვის შესწიროს თანხას. აღნიშნული რეგულაციის განხორციელების შემთხვევაში ჩვენ მივიღებთ რიგითი მოქალაქის მიერ დაფინანსებულ ორგანიზაციას, რომლის ანგარიშვალდებულება საზოგადოების წინაშე მნიშვნელოვნად გაიზრდება. აღნიშნული მოდელი ფაქტობრივად გულისხმობს მეტ ჩართულობას საზოგადოების წევრების მხრიდან.

იმისთვის, რომ საქართველოში ახლად დაფუძნებული და უკვე

არსებული არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობა შექმნილი რეალობის მოთხოვნებს პასუხობდეს, საჭიროა საკითხისადმი კომპლექსური მიდგომა. აუცილებელ ღონისძიებად ვთვლით ისეთი სამუშაო ჯგუფის შექმნას, რომლის ფარგლებში როგორც კერძო, ასე საჯარო უწყებების წარმომადგენლები დააფიქსირებენ ინიციატივის მიმართ არსებულ ხედვებს, შენიშვნებსა და რეკომენდაციებს. არსებული გამოწვევებისა და მოსალოდნელი შედეგების დეტალური გაანალიზების შედეგად კი შემუშავდება კონსენსუსზე დაფუძნებული პოზიცია. აღნიშნული ინიციატივის გათვალისწინებით ქართული საზოგადოება მივიღებს მნიშვნელოვან სიკეთეებს, კერძოდ:

- საზოგადოების, როგორც მთავარი ბენეფიციარის წინაშე არასამთავრობო ორგანიზაციათა გაზრდილ ანგარიშვალდებულებასა და მოსახლეობის მეტ ჩართულობას ორგანიზაციათა საქმიანობის პროცესში, რაც, თავის მხრივ, მეტად ადეკვატურს გახდის ორგანიზაციათა მიზნებსა და ამოცანებს და მნიშვნელოვნად დაახლოებს მათ არსებულ რეალობასთან. აღნიშნული ცვლილებები გამოიწვევს საზოგადოების მხრიდან არასამთავრობო ორგანიზაციებისადმი ნდობის ხარისხის ამაღლებას, რადგან თითოეული მათგანი განახორცილებს კონტროლს მის მერ დაფინანსებულ ორგანიზაციაზე და არადამაკმაყოფილებელი შედეგის შემთხვევაში აღარ იქნება კონკრეტული ორგანიზაციის დაფინანსების წყარო;

- საზოგადოებაში დღეს არსებული იმ განცდის გაქრობას, რომ სახელმწიფოში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობა მხოლოდ სხვა ქვეყნის ფონდის ინტერესების გატარებაზეა ორიენტირებული;

- საზოგადოებრივ ორგანიზაციათა გაზრდილ ფინანსურ რესურსს;

- სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას, გადასახადის გადამხდელთა თვითგამორკვევის უფლების განხორციელებას. აღსანიშნავია, რომ თითოეული ორგანიზაციისთვის ამგვარი შემოწირულობა იქნება მეტად საყურადღებო და ერთგვარი ტესტი, თუ რამდენად კარგად ასრულებს იგი საზოგადოებრივ ინტერესებზე მორგებულ საქმიანობას. გარდა ამისა,

ორგანიზაციას გაუჩნდება შიში, რომ თუკი მისი საქმიანობის მიზნები საზოგადოებრივი საჭიროებების ამსახველი არ იქნება, დაკარგავს დაფინანსების წყაროს. საქველმოქმედო კულტურის განვითარებას.

ამ მიმართულებით კიდევ მრავალი ღონისძიების შეთავაზება შეიძლება სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავების პროცესში სამი სუბიექტის ურთიერთქმედების შემდგომი ეფექტიანობის ასამაღლებლად. კერძოდ:

საქართველოს ქალაქებში უნდა მომზადდეს და განხორციელდეს არაკომერციული ორგანიზაციების ქალაქის საკრებულოსთან ურთიერთქმედების მოდელი. მათი ურთიერთქმედების სისტემაში უნდა შეიქმნას არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის სპეციალური განყოფილება. გამოვყოფთ ამგვარი ურთიერთქმედების რამოდენიმე ეტაპს:

- წინასწარი გაცნობა („აკრედიტაცია“),
- ინფორმირება,
- კანონპროექტის ერთობლივი განხილვა,
- მონაწილეობა კომისიების და სამუშაო ჯგუფების მუშაობაში.

სხვადასხვა დონეებზე გადაწყვეტილებების შემუშავებისა და მიღების პროცესში საზოგადოებრივი მონაწილეობის პრაქტიკის გაფართოების ფარგლებში რიგი უცხოური ქვეყნების რამდენიმე წარმატებული ხელისუფლებისათვის (უნგრეთი, საფრანგეთი, სლოვაკეთი, ესტონეთი) ერთ-ერთ საკვანძო ინსტრუმენტს წარმოადგენს ტექნოლოგია „გამჭირვალე ბიუჯეტი“. რეგიონებში უნდა შეიქმნას არაკომერციული ორგანიზაციების რესურსცენტრი, რომელსაც უნდა გააჩნდეს დარეგისტრირებულ არასამთავრობო ორგანიზაციების ფართო და სრულყოფილი, მუდმივად განახლებადი მონაცემთა ბაზა.

პრობლემების გადაჭრისათვის იზრდება არასამთავრობო ორგანიზაციების მოზიდვის აუცილებლობა, რათა მოხდეს სოციალური პროგრამების ერთობლივად შემუშავება და განხორციელება სახელმწიფოს მხრიდან სოციალური დაკვეთისა და სოციალური გრანტების პირობებით.

სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების პროცესში სახელისუფლებო ორგანოებისა და სხვა მოქმედი სუბიექტების ურთიერთქმედების თეორიის შემდგომი სამეცნიერო კვლევა აქტუალურია სახელმწიფოს პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ყველა ეტაპზე და განსაკუთრებით სოციალური სფეროს განვითარებასთან მიმართებაში, რომელშიც დღეს, ეკონომიკური კრიზისის პირობებში, მნიშვნელოვნადაა გაზრდილი საჯარო და სამოქალაქო ინსტიტუტების როლი.

ძირითადი დასკვნები

სადისერტაციო კვლევაში თეორიული და ემპირიული ანალიზისათვის და სახელისუფლო სტრუქტურების და სამოქალაქო საზოგადოების ურთიერთქმედების გამოცდილების განზოგადოებისათვის, ჩვენს მიერ ჩამოყალიბდა მეთოდოლოგიური ბაზა, რომლის საფუძვლად დევს ინტეგრაციული მიდგომა, რომელიც ახორციელებს კვლევის სტრატეგიის ორიენტაციას სხვადასხვა მოცემულობების მდგომარეობაზე და მიზნებზე, მომუშავეს კლასიკურ, არაკლასიკურ და პოსტარაკლასიკურ მეთოდოლოგიების ფორმატში. რამაც საშუალება მოგვცა, განგვეხილა სახელმწიფო პოლიტიკისა და სამოქალაქო საზოგადოების ურთიერთქმედების ევოლუცია, დაწყებული ანტიკური ხანიდან დღემდე, გამოვევლინა ზოგადი და სპეციფიკური თავისებურებები, რომელიც დამახასიათებელია როგორც ტრადიციული, ასევე თანამედროვე არამდგრადი და გახსნილი, გლობალიზაციის პირობებში ფუნქციონირებადი საზოგადოებისთვის. პოსტინდუსტრიული საინფორმაციო განვითარების ეტაპზე ყოველივე ეს წარმოდგენას იძლევა სამოქალაქო საზოგადოების და სახელმწიფოს ინსტიტუტების განვითარების ხარისხობრივად ახალი ხასიათისა და არსის შესახებ.

შედარებითი ანალიზის საფუძველზე **გამოვლენილია და გამოკვლეულია** სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების თავისებურებები დასავლეთის ქვეყნებში და საქართველოში, რომელთა სპეციფიკაც განპირობებულია სოციოკულტურული და ისტორიული

განმსაზღვრელებით.

სადისერტაციო კვლევაში განხილულია სამოქალაქო საზოგადოების სტრუქტურა, გაანალიზებულია არასამთავრობო არაკომერციული ორგანიზაციების როლი, მნიშვნელობა და ფუნქციები თანამედროვე სახელმწიფოს საქმიანობაში. აღნიშნულია, რომ არასამთავრობო არაკომერციული ორგანიზაციები, როგორც სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტები, წარმოადგენენ მრავალდონიან არათანაბარ ქსელურ სტრუქტურას, სადაც არასამთავრობო ორგანიზაციები გამოხატავენ სხვადასხვა სოციალური ჯგუფებისა და სოციალური გაერთიანებების სექტორში ურთიერთქმედების პროცესში წარმოქმნილ ინტერესებს. გამოხატავს რა სამოქალაქო საზოგადოების ინტერესს, მესამე სექტორს აქვს საშუალება, წარმოგვიდგეს, როგორც სექტორში ურთიერთქმედების სოციალურად მნიშვნელოვანი პარტნიორი.

კვლევაში მოცემულია ხელისუფლების ორგანოების, სამოქალაქო საზოგადოების და ბიზნესის სექტორში ურთიერთქმედების არსის ავტორისეული ინტერპრეტაცია, როგორც კორპორატიული ინტერესების ურთიერთგანპირობება, რომელიც რეალიზირებულია სახელმწიფოს საჯარო სოციალური პოლიტიკის მეშვეობით.

ჩატარებული ანალიზის საფუძველზე განზოგადებულია ხელისუფლების ორგანოების, არასამთავრობო არაკომერციული ორგანიზაციების და მეწარმეების სექტორში ურთიერთქმედების გამოცდილება, ახალი პარამეტრების პირობებში განსაზღვრულია საქართველოს სახელმწიფოს ჩამოყალიბების და მისი განვითარების ზოგადი და სპეციფიკური ტენდენციები.

სიღარიბის მაღალი დონის, საზოგადოების სოციალურად დაყოფის, დემოგრაფიული პრობლემების სიმწვავის, მიგრაციული და ეკოლოგიური პრობლემებისა და სხვა სოციალური რისკების პირობებში, ხდება სოციალური ურთიერთობების მკვეთრი პოლარიზება, მათი გადაყვანა საჯარო პოლიტიკის სფეროში. ამ სიტუაციაში მობილიზაციურ ფუნქციასთან დაკავშირებით იზრდება ააო-ს საქმიანობის მნიშვნელობა,

რომელიც იძლევა ადამიანისეული კაპიტალის პოტენციური რესურსების გააქტიურების; დაფინანსების მრავალარხიანი სისტემის მეშვეობით დამატებითი საბიუჯეტო სახსრების მოზიდვის; გამოავლინოს ყველაზე მწვავე სოციალური პრობლემების გამოვლენისა და მათი გადაწყვეტილების ინიცირების საშუალებას.

დასაბუთებულია დასკვნა არასამთავრობო არაკომერციული სტრუქტურების განვითარების ახალ ხარისხობრივ ეტაპზე. მათი აქტივიზაციის ზრდასთან ერთად მათი პარტნიორული ურთიერთობების ხასიათი მოიცავს არასამთავრობო ორგანოებთან და სამეწარმეო სტრუქტურებთან ურთიერთქმედების სულ უფრო ფართო სპექტრს.

ჩატარებული კვლევის შედეგები ადასტურებს არასამთავრობო არაკომერციული სტრუქტურების საქმიანობის გაფართოებას და ინოვაციური ტიპის სოციალური სტრატეგიის, სახელმწიფოს სოციალური უსაფრთხოების უზრუნველყოფაში მათ მზარდ როლს.

ამავდროულად, სახელისუფლო სტრუქტურებისა და აო-ს ურთიერთქმედების გააქტიურების მიუხედავად, საქალაქო და მუნიციპალური პოლიტიკის განხორციელებაზე და ფორმირებაზე უფრო მასშტაბური და წონადი ზეგავლენის მოხდენის მიზნით, აღინიშნება მათი არააქტიური კონსოლიდაცია, გამოვლენილია სამოქალაქო ინსტიტუტების რესურსების გაძლიერების მექანიზმები.

გაანალიზებულია სექტორშორისი ურთიერთქმედების პროცესები და შეფასებულია მისი ფორმების შედეგიანობა იმ საფუძველზე, რომ სექტორშორისი რესურსული ურთიერთქმედება გამოხატავს ინტერესთა კონსოლიდაციის და სოციალური ურთიერთობების მნიშვნელოვანი სუბიექტების (სახელმწიფო, სამოქალაქო საზოგადოება, მეწარმეობა) ქმედებათა ინტეგრაციის პროცესს და ამ ორგანიზაციულ საფუძველზე - სოციალური სფეროს განვითარების სოციალურ-ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური ფაქტორების მობილიზაციას, როგორც მათი შედეგიანობის მნიშვნელოვან პირობას.

სახელმწიფო ორგანოების, არასამთავრობო არაკომერციული ორგანიზაციებისა და მეწარმეობის სექტორში ურთიერთქმედებას, როგორც ერთიან მდგრად სისტემას, ხელს უშლის მიზეზების რიგი, რომელთა შორისაა:

1. სახელმწიფო და რეგიონულ დონეებზე სექტორში ურთიერთქმედების არასაკმარისად შემუშავებული საკანონმდებლო ბაზა, მათ შორის საგადასახადო კანონმდებლობა;
2. ააო-ს ეკონომიკურობის ეფექტიანობის გაანგარიშების მეთოდოლოგიის არარსებობა;
3. ასოციაციებისა და მათი გაერთიანებების შექმნის შენელებული პროცესი;
4. სახელმწიფო ჩინოვნიკების, ააო-ს ხელმძღვანელების და მეწარმეების და ა.შ. პროფესიული მოუმზადებლობა.

კვლევაში განსაზღვრულია ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპები, როგორც მისი მდგრადობის, ინოვაციური განვითარების აუცილებელი პირობა. მოცემულია მისი მონაწილეობის შეფასება სოციალური სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში, მსხვილმასშტაბური სოციალური პროექტების გადაწყვეტაში. გაკეთებულია დასკვნა ქველმოქმედებაში და მეცენატობაში ბიზნესის კონსოლიდირებული მონაწილეობის, ამისთვის კი შესაბამისი საორგანიზაციო ფორმების, ეკონომიკური და მორალური სტიმულების შექმნის აუცილებლობის შესახებ.

დისერტაციის შესრულება:

მომზადდა დოქტორანტურაში სწავლის დებულებით გათვალისწინებული და დაცული ორი თემატური სემინარი:

I სემინარი: “ეკონომიკური ზრდის მოდელები და მათი პრაქტიკული გამოყენება ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების პროცესში”. თარიღი: 27.02.2017 წ.

II სემინარი: “მესამე სექტორის სტრუქტურა და დაფინანსების წყაროები საქართველოში”. თარიღი: 26.06.2017 წ.

და სამი კოლოკვიუმი:

I კოლოკვიუმი: „სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების ურთიერთქმედების თეორიული და მეთოდოლოგიური ბაზა“. თარიღი: 27.02.2017 წ.

II კოლოკვიუმი: “სამოქალაქო საზოგადოება და საჯარო სტრუქტურებთან მისი ურთიერთქმედება საქართველოს პოლიტიკურ სივრცეში”. თარიღი: 26.06.2017 წ.

III კოლოკვიუმი: “არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის სოციალური მიმართულებისა და მისი პოლიტიზაციის ანალიზი”. თარიღი: 28.02.2018 წ.

ნაშრომის აპრობაცია და პუბლიკაციები:

კვლევის შედეგების აპრობაცია. დისერტაცია განხილული იქნა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის საჯარო მმართველობისა და ელექტრონული ბიზნესის დეპარტამენტის პროფესორ-მასწავლებლების, დოქტორანტებისა და მაგისტრების ერთობლივ სხდომაზე.

ნაშრომში ფორმულირებული ძირითადი დებულებები ასახულია ავტორის მიერ გამოქვეყნებულ შემდეგ პუბლიკაციებში:

1. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული: „გლობალიზაცია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები“. ავტორები: პროფესორი გენადი იაშვილი; დოქტორანტი გია ებრალიძე. სტატია: „სახელმწიფო ინსტიტუტის, სამოქალაქო საზოგადოების და მათი ურთიერთქმედების ფუნქციების ტრანსფორმაცია გლობალიზაციის პირობებში“; თბილისი, 2017. გვ 249-252.

2. სამეცნიერო ჟურნალი: “ხელისუფლება და საზოგადოება“. ავტორი: დოქტორანტი გია ებრალიძე. სტატია: „არასახელმწიფო არაკომერციული ორგანიზაციები როგორც სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი“. N1 (45) 2018. ტომი I. გვ 5-11.

3. სამეცნიერო ჟურნალი: “ხელისუფლება და საზოგადოება“. ავტორი:

დოქტორანტი გაი ებრალიძე. სტატია: „მესამე სექტორთან ერთობლივი ფუნქციონირების ქართული გამოცდილება“. N1 (45) 2018. ტომი II. გვ 72-78.

4. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული: „გლობალიზაცია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები“. ავტორები: პროფესორი გენადი იაშვილი; დოქტორანტი გაი ებრალიძე. სტატია: „არასამთავრობო ორგანიზაციის სოციალური საქმიანობის სტრუქტურული ძვრები და ფორმები“. თბილისი. მაისი 2018 წ.

დისერტაციის ძირითადი დებულებები წარდგენილი იყო შემდეგ საერთაშორისო სამეცნიერო და სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებზე:

1. მე-9 ყოველწლიური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - „ხელისუფლება და საზოგადოება“. საქართველო. თბილისი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. 2015 წ.
2. მე-10 ყოველწლიური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - „ხელისუფლება და საზოგადოება“. საქართველო. თბილისი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. 2016 წ.
3. მე-11 ყოველწლიური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - „ხელისუფლება და საზოგადოება“. საქართველო. თბილისი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. 2017 წ.